ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი
თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზ. 29/31/33, მე-2 სართული
ტელ./ფაქსი: (+995 32) 225 39 42/43
www.epfound.ge info@epfound.ge

კონკურსი სტუდენტებისათვის

კვლევის „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“ შედეგების გამოყენება სტუდენტურ ნაშრომებში

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი აცხადებს კონკურსს სტუდენტებისათვის, მათ ნაშრომებში კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის, „ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“ შედეგების გამოყენების წასახალისებლად.

კონკურსი ცხადდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში, რომელიც ხელს უწყობს სამოქალაქო მონაწილეობის გააქტიურებას საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში. პროგრამის ერთ-ერთი მიზანია გაზარდოს საზოგადოების ინფორმირებულობა ევროკავშირის ინსტიტუტების, ღირებულებებისა და საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის შესახებ.

ზოგადი ინფორმაცია კონკურსის შესახებ

2012 წლის იანვარში ევრაზიის თანამშრომლობის ფონდმა გამოაქვეყნა კვლევის, *„ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“, შედეგები,* რომელიც ფონდის ერთ-ერთი პროგრამის, კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ პირველად 2009 წელს, ხოლო განმეორებით, 2011 წელს ჩატარდა.[1]

საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა ჩატარდა პირისპირ ინტერვიუების მეშვეობით თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში; მიღებული შედეგები წარმომადგენლობითია საქართველოს ზრდასრული მოსახლეობისთვის. გამოკითხვების საფუძველზე მომზადებულ ანგარიშში ასახულია ევროკავშირის მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულება 2011 წლისათვის და ბოლო ორი წლის განმავლობაში ამ კუთხით მომხდარი ცვლილებები. ანგარიში მიმოიხილავს, თუ რას ფიქრობენ

[1] კვლევის ანგარიშს შეგიძლიათ შემდეგ მისამართზე გაეცნოთ:
http://www.epfound.ge/files/eu_report_geo_12jan2012_final_1_.pdf

საქართველოს მოქალაქეები ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე, რა ცოდნას ფლობენ ევროკავშირის შესახებ და რა დამოკიდებულება აქვთ ამ გაერთიანების მიმართ.

კვლევის ანგარიშში წარმოდგენილია კვლევის შედეგად შეგროვებული მონაცემების მხოლოდ ნაწილი. ამავე დროს, გამოკითხვა საკმაოდ მოცულობითი იყო, შეგროვდა ინფორმაცია ბევრ საინტერესო საკითხთან დაკავშირებით, რომლის გამოყენებაც, როგორც ფაქტობრივი ინფორმაციისა, სტუდენტებისათვის მეტად გამოსადეგი უნდა იყოს. ეს მონაცემები ფართო ინტერპრეტაციის საშუალებასაც იძლევა და სასარგებლო მასალაა სხვადასხვა აქტუალურ თემაზე დისკუსიის საწარმოებლად.

კვლევის შედეგად შეგროვებული მთელი მასალა ხელმისაწვდომია კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის ვებ-გვერდზე არსებულ მონაცემთა ონლაინ ანალიზის სისტემაში (www.crrc.ge/oda).

ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი დაინტერესებულია, რომ მისი ძალისხმევით შეკრებილი მონაცემები რაც შეიძლება ფართოდ იქნას გამოყენებული და ყველა დაინტერესებულ პირს მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს.

კონკურსში მონაწილეობა

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სტუდენტებს, რომლებმაც 2012-2013 სასწავლო წლის პირველ სემესტრში, საქართველოს ნებისმიერ უნივერსიტეტში სწავლის პროცესში ერთ-ერთი საუნივერსიტეტო კურსისათვის მომზადებულ წერით ნაშრომში გამოიყენეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის კვლევის *„ევროკავშირის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შეფასება საქართველოში“ შედეგები.*

კონკურსის აუცილებელი პირობაა, რომ კონკურსში წარდგენილი ნაშრომი ამავდროულად შეფასებული იყოს უმაღლესი სასწავლებლის პროფესორ–მასწავლებლის მიერ, ან წარდგენილი იყოს შესაფასებლად.

წარმოდგენილი ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს 15-30 გვერდი.

<u>**გამოვლინდება სამი გამარჯვებული, რომლებსაც ჯილდოს სახით, ნოუთბუქები გადაეცემათ.**</u>

გამარჯვებული ნაშრომები ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ვებგვერდზე განთავსდება.

საკონკურსო ნაშრომების შეფასების კრიტერიუმები

ნაშრომები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით შეფასდება:

- ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მოცემულ კვლევაზე და კონკრეტულ მონაცემებზე ნათელი მითითება.
- კვლევის შედეგების გამოყენების მოცულობა (კვლევის შედეგები წარმოდგენილ ნაშრომში გამოყენებული უნდა იყოს არა მხოლოდ საილუსტრაციოდ, არამედ ერთ-ერთი ძირითადი თეზისის დასაბუთებისათვის).
- ორიგინალურობა (ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის მიერ მომზადებული კვლევის ანგარიშში გადმოცემული ინფორმაციის გამეორება მასალის ძლიერ მხარედ არ იქნება მიჩნეული).
- საკითხის/საკითხების აქტუალურობა/მნიშვნელობა.
- ნაშრომის ხარისხი (აზრი ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული; მასალაში გამოყენებული ინფორმაცია უნდა იყოს ზუსტი, არგუმენტირებული, დაბალანსებული; არ უნდა იყოს პლაგიატის შემთხვევები, სქოლიოები უნდა იყოს წარმოდგენილი APA ან ანალოგიური სტილის მიხედვით).

თითოეულმა აპლიკანტმა შეიძლება წარმოადგინოს მხოლოდ ერთი განაცხადი.

შერჩევის პროცესი

საკონკურსო განაცხადებს განიხილავენ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის თანამშრომლები და კონსულტანტები.

განაცხადის ფორმატი

განაცხადები ფონდში შემდეგი სახით უნდა იქნას წარდგენილი:

- განმცხადებლის სახელი, გვარი;
- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სახელწოდება, სადაც ნაშრომი მომზადდა;
- სალექციო კურსის სახელწოდება, რომლის ფარგლებშიც მომზადდა ეს ნაშრომი;
- პროფესორ-მასწავლებლის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელმაც შეაფასა, ან უნდა შეაფასოს ეს ნაშრომი.
- ნაშრომის ასლი.

- ნაშრომის შეფასების, ან შესაფასებლად ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი შესაბამისი უმაღლესი სასწავლებლიდან.

განაცხადები და ნაშრომები შესაძლებელია მომზადებული იყოს ქართულ, რუსულ, ან ინგლისურ ენებზე.

განაცხადები უნდა გაიგზავნოს ელფოსტით (ერთ PDF დოკუმენტად), მისამართზე rjandieri@epfound.ge

ელფოსტის საგნის ველში გთხოვთ მიუთითოთ „კონკურსი სტუდენტებისათვის“.

კონკურსის ვადები

განაცხადების წარდგენის ბოლო ვადაა **2012 წლის 28 დეკემბერი, 16:00 სთ.**

კონკურსის გამარჯვებულის ვინაობა გამოცხადდება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ვებგვერდზე არაუგვიანეს **2013 წლის 31 იანვრისა.**

ტრეინინგი

კონკურსში მონაწილეობის მსურველი სტუდენტების დასახმარებლად, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი აწყობს ტრეინინგს მის ხელთ არსებული მონაცემთა ბაზების გამოყენების თაობაზე.

ტრეინინგის ხანგრძლივობაა 3 დღე და დაგეგმილია 2012 წ. ოქტომბერში, თბილისში.

რაიონებიდან მოწვეული სტუდენტების სატრანსპორტო და საცხოვრებელ ხარჯებს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი დაფარავს.

ტრეინინგში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი არაუგვიანეს **2012 წლის 21 სექტემბრისა.** ტრეინინგის განაცხადი უნდა გაიგზავნოს ელფოსტის მისამართზე rjandieri@epfound.ge (ერთ PDF დოკუმენტად), და შემდეგ ინფორმაციას უნდა მოიცავდეს: სტუდენტის სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის დასახელება, სადაც ეს სტუდენტი სწავლობს, CV,

სამოტივაციო წერილი, და დაახლოებით 500 სიტყვიანი მონაკვეთი სტუდენტის რომელიმე ნაშრომიდან, მისი კვალიფიკაციის სადემონსტრაციოდ.

ელფოსტის საგნის ველში გთხოვთ მიუთითოთ „განაცხადი სტუდენტების ტრეინინგში მონაწილეობისათვის“.

ტრეინინგის თარიღისა და დროის შესახებ, შერჩეულ სტუდენტებს ეცნობებათ არაუგვიანეს **2012 წლის 9 ოქტომბრისა.**

<u>კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ სტუდენტს, მიუხედავად იმისა, გაივლის თუ არა ტრეინინგს.</u>

ტრეინინგის ამოცანაა დაეხმაროს სტუდენტებს უკეთესად მოემზადონ კონკურსისათვის. ამავე დროს, კონკურსი ხელს შეუწყობს სტუდენტებს, ზოგადად, მასალების მოძიების ახალი უნარ-ჩვევების დაუფლებაში და, კერძოდ, რაოდენობრივი სოციოლოგიური გამოკითხვების შედეგების ინტერპრეტაციისა და წარმოდგენის უნარ-ჩვევების შეძენაში.

საკონტაქტო ინფორმაცია

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ვახტანგ კობალაძეს, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ევროინტეგრაციის პროგრამის უფროს მენეჯერს.
ელფოსტა: vkobaladze@epfound.ge
ტელეფონი: 225-39-42/43.